



Science and Technology Entrepreneurship Program

”იდეიდან ბაზრისკენ” კონკურსი

ქვემოთ მოყვანილია კონკურსის ”იდეიდან ბაზრისკენ” განაცხადის ფორმა, რომელიც შეესაბამება სტანდარტული ბიზნეს-გეგმის სქემას. ბიზნეს-გეგმის მომზადება, ტექნოლოგიის დამუშავების დონის მიუხედავად, სასარგებლოა ნებისმიერი ახალი საქმის დაწყებისთვის. ამასთან, იგი წარმოადგენს პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორთან ან ინვესტორთან ურთიერთობის ინსტრუმენტს. გთხოვთ ფორმაში არ შეიტანოთ კონფიდენციალური ინფორმაცია ბიზნესის შესახებ.

I. ძირითადი ინფორმაცია

1. წარმოადგინეთ მოკლე (არაუმეტეს 100 სიტყვისა) თქვენი ტექნოლოგიური პროდუქტის/მომსახურების ზოგადი აღწერა. ამასთან აქცენტი გააკეთეთ იმ პრობლემაზე, რომლის გადაჭრასაც ხელს შეუწყობს თქვენი ტექნოლოგია:

პროექტის ფარგლებში ჩვენ შევქმნით მცენარეული ბოჭკოებით მდიდარ, დაბალკალორიულ, ჯანსაღ საკვებ პროდუქტებს, რომელიც დამზადებული იქნება ორიგინალური ტექნოლოგიით, ჩვენს მიერ დაპატენტებული პრევენციული და სამკურნალო დანიშნულების საკვები კომბინაციის ბაზაზე. საკვები პროდუქტი წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისათვის ცნობადი და პოპულარული სასაქონლო ფორმების სახით (მიუსლი, კატლეტი, ტოლმა და სხვ.). შემოთავაზებული პროდუქტები ხელს შეუწყობს დღეისათვის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსებას და საკვები რაციონის კალორიაჟის ოპტიმიზაციას. წარმოდგენილი პროდუქტები, როგორც ჯანსაღი საკვები, შეიძლება გამოყენებული იყოს ფართო მოხმარებისათვის, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საკვების გამოყენება წონის კორექციისა და ქრონიკული არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და მკურნალობისათვის.

2. ტექნოლოგიური პროდუქტის/მომსახურების დასახელება:
მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი დაბალკალორიული საკვების სამომხმარებლო ფორმების შემუშავება

პროექტის სათაური უნდა იყოს მოკლე და სპეციალური ტერმინების გაეშე, რათა მიიქციოს პოტენციური ინვესტორის ან ბიზნეს-პარტნიორის ყურადღება

3. პროექტის ხელმძღვანელი:

გელა ტიტეს ძე სულაბერიძე

4. პროექტის წარმომდგენი ჯგუფის ორგანიზაცია/ინსტიტუტი:
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

5. ორგანიზაციის/ინსტიტუტის დასახელება, სადაც შესრულდება სამუშაო (მიუთითეთ
იმ შემთხვევაში, თუ იგი განსხვავდება პროექტის წარმომდგენი ჯგუფის
ორგანიზაცია/ინსტიტუტისგან):
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

6. პროექტის წარმომდგენი ჯგუფის წევრთა რაოდენობა (ხელმძღვანელის ჩათვლით):
3 მონაწილე:

1. გელა ტიტეს ძე სულაბერიძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. მაია ვაჟას ასული ოკუჯავა
3. სალომე ილიას ასული ბეზარაშვილი

II. ანოტაცია

წარმოადგინეთ ტექნოლოგიური პროდუქტის/მომსახურების მოკლე აღწერა (არაუმეტეს 1 გვერდისა). ანოტაცია უნდა შეიცავდეს ტექნოლოგიური პროდუქტის/მომსახურების ძირითად მახასიათებლებს (აქცენტით იმ პრობლემაზე, რომლის გადაჭრასაც ხელს შეუწყობს თქვენი ტექნოლოგია), თქვენი ბიზნეს-სტრატეგია და ფინანსური გათვლები. **რეკომენდებულია აღნიშნული სექციის შევსება სააპლიკაციო ფორმით მოთხოვნილ სხვა კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ.**

ჩვენი მიზანია მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი, დაბალკალორიული, ჯანსაღი საკვები პროდუქტების შექმნა, რომელთა სასაქონლო ფორმაც ხელს შეუწყობს მათ ადვილად ჩართვას საკვებ რაციონში და ფართო მოხმარებას. იდეის ორიგინალობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს საკვები პროდუქტები დამზადებული იქნება საკვები კომბინაციების საფუძველზე, რომლის შემადგენლობაში შემავალი მცენარეული ბოჭკოები დამუშავებულია პროექტის მონაწილეების მიერ შემუშავებული და დაპატენტებული ტექნოლოგიით. ეს ტექნოლოგია ეფუძნება ადამიანის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიერ საჭმლის მონელების ფიზიოლოგიურ პროცესებს და შესაძლებელს ხდის მცენარეული ბოჭკოები გახდეს ადვილად მოსანელებელი, არ ჰქონდეს გამაღიზიანებელი მოქმედება და დამუშავებისას არ დაკარგოს თავისი სასარგებლო თვისებები. ყველაფერი ეს ანალოგიურ პროდუქტებთან შედარებით მისი უპირატესობის საფუძველია. ჩვენს მიერ შემუშავებული პროდუქტის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი სასაქონლო ფორმაც, კერძოდ საკვები პროდუქტები წარმოდგენილი იქნება მოხმარებლისთვის კარგად ცნობილი, პოპულარული და კვებით რაციონში ფართოდ მოხმარებადი სასაქონლო ფორმების, მაგალითად მიუსლის, კატლეტის, ქაბაბის და ტოლმის სახით. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საკვებ რაციონთან დაკავშირებული სტერეოტიპის მნიშვნელოვანი რღვევის გარეშე შევიყვანოთ ყოველდღიურ დიეტაში ჩვენს მიერ შექმნილი ჯანსაღი პროდუქტები. შემუშავებული პროდუქტების ისეთი მახასიათებლები, როგორცაა დაბალკალორიულობა და მცენარეული ბოჭკოების მაღალი შემცველობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს მის გამოყენებას ჭარბი წონის კლების მიზნით და აგრეთვე ისეთი ფართოდ გავრცელებული მდგომარეობების პრევენციისა და მკურნალობისათვის, როგორცაა ქრონიკული არაგადამდები დაავადებები, მათ შორის შაქრიანი დიაბეტი.

ჩვენი ბიზნეს სტრატეგია მდგომარეობს სტანდარტული ფორმის, მაღალი კვებითი ღირებულებისა და დაბალკალორიული საკვები პროდუქტების შექმნაში, ამ პროდუქტების საქართველოს ბაზარზე შესვლაში, სადაც მსგავს პროდუქტებზე ვრცელდება საგადასახადო შეღავათები, ბიზნესპარტნიორების მოძიებასა და საერთაშორისო ბაზარზე პროდუქტის გატანაში.

ჩვენი წინასწარი გათვლებით პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 39 600 ლარს. პარტნიორი კომპანია თანადაფინანსების სახით მოგვაწოდებს პროექტით დაგეგმილი სამუშაოებისათვის საჭირო ნედლეულს - 1000 ლარის ღირებულების. წინასწარი ფინანსური გათვლებით პროექტის დასრულების შემდეგ პარტნიორ კომპანიას დასჭირდება დაახლოებით 10 000 ლარი პროდუქტის მზა ფორმების წარმოებისა და საქართველოს ბაზარზე გატანისათვის ანუ მთლიანად იდეის რეალიზებისა და მზა პროდუქტის ადგილობრივ ბაზარზე გატანისათვის საჭირო თანხა შეადგენს დაახლოებით 50 000 ლარს. სავარაუდოდ საზღვარგარეთის ქვეყნებში პროდუქტის გატანას, უპირველესად სადაც საკვებ კომბინაციას უკვე მიღებული აქვს პატენტი, დაჭირდება კიდევ 100 000 ლარი, ანუ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დაახლოებით 150 000 ლარი არის საჭირო. ეს თანხები პროექტის განხორციელების პერიოდში დაიფარება CRDF Global -ის გრანტიდან და პარტნიორი კომპანიის მიერ თანადაფინანსებით, ხოლო პროექტის შემდგომ პერიოდში პარტნიორი კომპანია თვითონ გაიღებს პროდუქტის წარმოებისა და ბაზარზე გატანის ხარჯებს.